# ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

26 სექტემბერი
ხუთშაბათი
2024 წელი
№39 (9353)
ფასი 40 თეთრი


## ქართული ოცნება



26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არის რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ მშვიდობას, მორალურ დეგრადაციას თუ ფასეულობებს, ქვეყნის განადგურებას თუ მის ნათელ, ევროპულ მომავალს.

საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე წამოვიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგად კრეპსითი ,,ნაციონალური მოძრაობა“ არაკონსტიტუციურად გამოცხადდება. მივიღებთ კონსტიტუციურ კანონს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ; კონსტიტუციაში შევიტანთ შესწორებას, რომლითაც მართლმადიდებლობა სახელმწიფოს იდენტობის საყრდენად გამოცხადდება. გარდა ამისა, საკონსტიტუციო უმრავლესობის პირობებში, საჭიროების შემთხვევაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას დაბრკოლებას ვერავინ შეუქმნის.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ საქართველო მშვიდობას ვერ შეინარჩუნებს. საკმარისია ერთი პატარა შეცდომა და შეიძლება ქვეყანა საერთოდ დავკარგოთ. რაც მეტ ხმას მიიღებს ,,ქართული ოცნება“, მით მეტად განმტკიცდება მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო მშვიდი იქნება ნოემბერი და დეკემბერი, მით უფრო მშვიდი იქნება მომდევნო 4 წელიწადი და მით უფრო ნაკლები დაბრკოლება შეექმნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას!

სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, რომლისთვისაც ძვირფასია სამშობლო - გამოდით ქუდზე კაცი და ერთად შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად, ქვეყნის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად. გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე, რადგან 26 ოქტომბერს არა პოლიტიკის, არამედ ქვეყნის გადარჩენის საკითხი წყდება.

საქართველოს ბედი ჩვენ ხელშია და ველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალ თაობას სამართავად დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო დავუტოვოთ.

**ბიძინა ივანიშვილი**
,,ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე.

ქართული ოცნება

41

ქართული ოცნება

**მხოლოდ მშვიდობით ღირსებით კეთილდღეობით ევროპისაკენ**

**აირჩიე მშვიდობა!**

**აირჩიეთ ტრადიციული ფასეულობები!**

**აირჩიე საქართველოს ნათელი, ევროპული მომავალი!**

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიაზე მონაწილეობს

23 სექტემბერს **ირაკლი კობახიძე** აშშ-ში გაემგზავრა, გაეროს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობისთვის. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს ინფორმაციას...

23-26 სექტემბერს ნიუ იორკში ექნება გამოსვლა გენერალური ასამბლეის სესიაზე - ჟურნალისტებთან შეხვედრისას **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართება ორმხრივი შეხვედრებიც.

- ,,მომავლის სამიტის“ ფარგლებში ექნება გამოსვლა და ასევე ამ ვიზიტს გამოვიყენებთ ორმხრივი შეხვედრებისთვის. მინდა, რომ მაქსიმალურად ვესაუბროთ ჩვენს პარტნიორებს იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის განვითარებას, პოლიტიკურ საკითხებს ჩვენი ქვეყნის გარშემო. ეს ფორმა იქნება მაქსიმალურად ამ ყველაფრისთვის გამოყენებული“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**ირაკლი კობახიძე** გაერო-ს გენერალურ მდივანს, ანტონიო გუტიერეშს შეხვდა. - რადიკალური ოპოზიციის მფარველებს უნდათ ქართველი ხალხის დასჯა ერთადერთი მიზეზის გამო, ხალხი მყარად უჭერს მხარს ,,ქართულ ოცნებას“ და უარს ეუბნება კოლექტიურ ,,ნაციონალურ მოძრაობას“.

**ირაკლი კობახიძე** - გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე საუბარი გვექნება ყველა თემაზე, რომელიც უკავშირდება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, პრიორიტეტებს. მშვიდობა და უსაფრთხოება აუცილებელია ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

პრემიერის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტსა და ‘‘მომავლის სამიტზე’’ გამოსვლას ეხმიანებიან მმართველ გუნდში. უმრავლესობაში განმარტავენ, რომ ირაკლი კობახიძემ, გამოსვლისას, ნდობის აღდგენისა და შენარჩუნების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი, რადგან მსოფლიოში არსებული განსაცდელი არის რეალური და ამ განსაცდელს ომის ქარცეცხლი ჰქვია.

უმრავლესობაში ხაზგასმით ამბობენ, რომ ვიზიტს საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

‘‘მთავარი, რაც ითქვა ჩვენი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის მიერ, არის ნდობის აღდგენის, მისი შენარჩუნებისა და სტაბილურობის აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავალალო შემთხვევები შეიძლება მივიღოთ არა მარტო საქართველოში, არამედ, ზოგადად, მსოფლიოში. გენერალურ დებატებზე კიდევ იქნება ამ თემაზე საუბარი, იქნება ორმხრივი შეხვედრებიც, ასევე - გარკვეულ ფორმატებში შეხვედრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ფორმალურად თუ არაფორმალურად - ეს არის საქართველოსთვის საგანგებოდ მნიშვნელოვანი, - აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ვოლსკი**.

### 27 სექტემბერი აფხაზეთის დაცემის დღეა

## უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო!

**27 სექტემბერი ჩვენს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული თარიღია. ეს არის დღე, რომელიც არასოდეს უნდა მიეცეს დავიწყებას.**

31 წლის წინ 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. კონფლიქტი ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა. სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას 27 ივლისს სოჭში ცეცხლის შეწყვეტასა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანას წინ გაფორმებული შეთანხმება უძღოდა, თუმცა აფხაზეთმა ეს შეთანხმება 16 სექტემბერს დაარღვია.

ქართული მხარის ამ დრომდე დაუზუსტებელი მონაცემებით 5 ათასი ქართველი ჯარისკაცი და 8 ათასი ქართველი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპ, 400 ათასი აფხაზეთიდან დევნილი კი - უსახლკაროდ დარჩა.

სოხუმის დაცემის დღეს, რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს.

ჩემს ერთ უსაყვარლეს მეგობარს სოხუმიდან შემოუთვალეს, დიდი პატივისცემით, თუ თქვენი ნება იქნება, ბებიას გადმოგისვენებთ თბილისშიო... ჩემმა მეგობარმა ბაბუას უთხრა, ერთ ძალიან კარგ კაცს და კარგ სოხუმელს...

იცით, ბაბუამ რა უპასუხა? - აფხაზებს შეუთვალე, სოხუმში რომ ჭიშკარი გვქონდა, ეგეც მოთხარონ და გამოგვიგზავნონ, რომ მიზეზიც აღარ გვქონდეს უკან დასაბრუნებელი... ჩემს ცოლს თავი გაანებონ, თავის სახლში მარხია, მე ვიკითხო, დევნილობაში რომ უნდა დავიმარხოო...

თბილისში მარხია ის კარგი კაცი.

**- ,,გუშინ აქ, თურმე, ამ გზის იქით, კაცი მომკვდარა.**

**- შუა ქუჩაში?**

**- ხო ქუჩაში.**



**- მიზეზი?**

**- გული...**

**- სახელი? გვარი?**

**- ვერ გაიგეს, მაგრამ მომაკვდავს, როგორც ამბობენ, ბოლო სიტყვა უთქვამს - სოხუმი“.**

და, როდესაც ჩემს მეგობარს მის საფლავზე მივყვები ხოლმე, მახსენდება ჩემი ბავშვობა და მათ ოჯახში გატარებული ბედნიერი დღეები....

**ჰოდა, იცით ყველაზე მეტად რა მახსოვს?** ჩალაგებულ ჩემოდნებს რომ არ ხსნიდნენ... დაბრუნებისას დრო რომ არ დაეკარგათ...

31 წლის წინ, რა უცნაური დამთხვევაა,.. ზუსტად 31 წელია, რაც ჩემი დღევანდელი რესპონდენტებიც ლტოლვილებად იწოდებიან და ჩვენს ქალაქში უპოვიათ ნავსაყუდელი,.. ოღონდ ზღვის გარეშე.

**ნონა და გრიგოლ თოდუები** სოხუმიდან, 1993 წლის 13 ოქტომბერს იძულებით ჩამოვიდნენ ბორჯომში.

მათთან მისვლისთანავე, გაცნობის პირველივე წამებიდან სევდამ შემომანათა მათი თვალებიდან, აი, ისეთმა უსახელო-სახელიანმა სევდამ, მხოლოდ დევნილებს და არა „ლტოლვილებს“ რომ უდგათ თვალში. საუბარი უმალ ენაწყლიანმა ქალბატონმა ნონამ დაიწყო.

● **თქვენს მახსოვრობაში როგორ დარჩა აფხაზეთი? თუმცა, დარჩა რაღაცნაირად არაა სწორი ფორმა - დარჩებოდა! ის ხომ სულ თქვენშია.**

- დარჩა ბოლო, საშინელი დაბომბილი კადრებით. ჩვენი სახლი დაწვეს, და მომიკლეს, სიძეები მომიკლეს. (ტკივილი გაუმძაფრდა თვალებში) ნეტავ დამანახა, ახლა როგორია ჩემი სოხუმი.

- ჩვენ ,,პერევალით“ გადმოვედით 28 სექტემბერს, სადღაც ათის ნახევარზე (დეტალებში ახსოვთ) - მე, ჩემი მეუღლე და უფროსი ვაჟი, რომელიც მაშინ 15 წლის იყო, ხოლო უმცროსი ბიჭი მანამდე გამოვუშვით ბორჯომში სამშვიდობოს, ის მხოლოდ 7 წლის იყო. ჩვენ საარტილერიო დივიზიონში ვმუშაობდით და იქ ვიყავით. ნახევარი საათიც რომ დაგვეყოვნებინა, 250 კაცს, ყველას დაგვხოცავდნენ. 5 დღე მოვდიოდით ,,პერევალზე“ და ქვემოთ როცა ჩამოვედით, სვანების ოჯახიდან, ქალმა ერთი დიდი პური და ზედ დადებული ყველი გამოგვიტანა. 23 ბიჭი მოგვყავდა თან და, სულ იმათ დავუნაწილეთ ის ყველი და პური, მე და ჩემ მეუღლეს პირი არ დაგვიკარებია. მსხალი ვნახეთ იქვე, ის ჩავიდეთ პირში, მაგრამ ყელი გვქონდა გამშრალი ამხელა სტრესისგან და უჭმელობისგან და ის ლუკმა აღარ გადავიდა, გაიჩხირა სადღაც.

რომ გაგვახსენდება ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ძალიან რთულია,.. ცრემლის გარეშე ახლაც ვერ ვიძინებ (მძიმედ ამოიოხრა).

მერე ჩამოვედით ზუგდიდში, ზუგდიდიდან კი ბორჯომისაკენ გამოვეშურეთ, როცა ჩამოვედით, უმცროს ვაჟს ანბანის ორი ასო ჰქონდა დარჩენილი სასწავლი.

● **აქ რომ ჩამოხვედით, როგორ დაიწყეთ? პირველი ნაბიჯები, ვინ დაგხვდათ, ვინ მიგიღოთ, ვინ ჩაგიკრათ გულში..? ამ ქალაქმა რა გაგრძნობინათ?!..**

- ბორჯომმა ნამდვილად ჩაგვიკრა გულში! ცუდად არ მოგვქცევია. სულ თავიდან, მატარებელში ორი ქალი გამოგველაპარაკა, ახალდაბელები ვართო, წამობრძანდით ჩვენს სახლში, დაგაპურებთ, რაც შეგვეძლება, ყველა იმ საჭირო ნივთს მოგცემთო, მაგრამ რატომღაც არ წავყევით, თუმცა გული სითბოთი აგვევსო.

**(გაგრძელება მეორე გვერდზე)**

## ლიკანში განახლების სიომ დაბერა

**ლიკანის** დასახლებაში მესხეთის ქუჩაზე ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა ცენტრალური ქუჩების მიმდებარე სახლების ღობეები, ჭიშკრები და რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები.

სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

აღნიშნული პროექტი ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, უმნიშვნელოვანესია. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სამუშაოები სხვადასხვა ობიექტებზე დაწყებულია და წლის ბოლომდე გაგრძელდება.



**ლიკანში,** მესხეთის №85-ში, სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა.

სკვერი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო. პროექტის ფარგლებში, ჩატარდა სამშენებლო და გამწვანების სამუშაოები, დამონტაჟდა სკამები და სანაგვე ურნები, მოეწყო მოსასვენებლი სივრცეები, ასევე - განათების, წყლის და კანალიზაციის ქსელი.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო სპორტული მოედანიც.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რეკრეაციული სივრცეებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა და განვითარებაა. შესაბამისად, მსგავსი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.

# უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო!

**(გაგრძელება)**

ნულიდან დავიწყეთ ჩვენ აქ ცხოვრება, რთული დღეები გადავლახეთ, არც თეფში გვქონდა, არც კოვზი. ვერაფერი წამოვიღეთ იქიდან, მხოლოდ ცოტა ოქრო. 40 000 მანეთი იქ დავტოვე, უმცროსი შვილის პიჯაკის ჯიბეში ჩამრჩა. ისე წამოვედით, ვერ ავედით სახლში, 12 დღე იბომბებოდა ჩვენი მხარე... ფულს არც დავეძებდით, ადამიანის სული არ დაგვკლებოდა ოღონდ - ეს იყო მთავარი! მაგრამ... ვერ ავცდით დანაკლისს: - უფროსი და, მისი მეუღლე, უმცროსი დის მეუღლე - ესენი დავტოვეთ იქ...



**ვცდილობ, მეტად აღარ დავამძიმო და უცბად სხვა კითხვა შევაშველე: - რატომ მაინცდამაინც ბორჯომი?**

- უმცროსი შვილი ხომ აქეთ იყო და...

**ჰოდა, რომ გამოუშვით, ვინმესთან გამოუშვით თუ უბრალოდ, ისე აირჩიეთ ეს ქალაქი?**

- რეალურ სიმართლეს ვიტყვი - სამსახურში სულ გვეძლეოდა საგზური - ბორჯომი, ბორჯომი, ბორჯომი. მაგრამ არ მოვდიოდით აქეთ, კურორტი იქითაც გვქონდა, ვიფიქრე, დადგება დრო და წავალთ-თქო და სწორედ რომ დაგვიდგა „ეს დრო“ - 31 წელია ბორჯომში ვართ უკვე. ,,მთის ხეობაში“ დავიდეთ ბინა ჩამოსვლისთანავე, ძალიან კარგად მიგვიღეს. თავიდან ბევრი გაჭირვება გადავიტანეთ, სანამ ბორჯომში დავიწყებდით მუშაობას, ახალციხეში ვვაჭრობდი. დავიტვირთებოდი თბილისიდან და მარილი მიმქონდა ახალციხის ბაზარში.

მერე ხარებავები გამოჩნდნენ, ისინიც სოხუმიდან არიან ჩვენსავით, მეუღლემ მათთან დაიწყო მუშაობა, მშენებლობა მიდიოდა მაშინ და მეც დამიძახეს, საჭმელს ვუკეთებდი მუშებს. ასე შემოვრჩი ამ სამსახურში აგერ უკვე 19 წელია. დღესდღეობით რესტორან „მაი ჰაუსში“-ც ვმუშაობ, ნანასთან. ძვირფასად მიმილო, მიწყობს ხელს და როგორ არ უნდა ვთქვა ეს, მაშინ ხომ უმადური გამოვალ. მერე იქიდან მივდივარ ,,კრისტალ ბეთში“ - ტოტალიზატორში და მერე აქაც ვარ, მეუღლის გვერდით - ხარებავას სასტუმროში. ასე რომ, ცუდი არანაირად არ მეთქმის ბორჯომზე. სადაც შევდივარ, თანამშრომლები მაფასებენ და მეც ყველას ვაფასებ. მე რომ არ ვიმუშაო, მოვკვდები. სახლში ვერ დავჯდები. არ მეთაკილება არანაირი შრომა.

ორივე ომის ვეტერანები ვართ. შვილები უკვე დიდები, დაოჯახებულები არიან, უფროსი აქ ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად, ჰყავს ორი ვაჟი და მუშაობს ,,ლიკანი პალასში“ დაცვის უფროსად; მისი უფროსი ვაჟი ამჟამად სამხედროშია კონტრაქტით, უმცროსი - №3 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასელია. ჩვენი მეორე შვილი სამხედრო პოლიციელია, თბილისში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, ჰყავს ორი ქალიშვილი.

**დაგსიზმრებიათ თქვენი კარ-მიდამო?**

- ხშირად... სულ ხშირად...

**„წუხელ სიზმარში აფხაზეთი ვნახე,**
**წუხელ სოხუმში ვიყავი თითქოს,**
**ვაიმე, ვისაც კი დავუძახე**
**ხმა არავინ გამცა და ვერავინ მიცნო..**
**ხმამაღლა ვეძახდი ჩემს სიჭაბუკეს,**
**არავინ ისმენდა ჩემს გულწრფელ ძახილს,**
**მერცხალს დანგრეოდა ერდოზე ბუდე,**
**ხარივით ბღაოდა ჩემი ეს სახლი...**
**ჭიშკარს მივაწექი და ველარ გავაღე**
**უნდობლად მიცქერდა ეზო,**
**ცრემლი მორეოდა სისხლისფერ ვარდებს**
**ასე უბრალოდ და უმიზეზოდ..**
**რა ახლოს იყო ჩემი ნააკვნარი,**
**ჩემი სიყვარული და ტკბილი ნანა,**
**რატომ არ იღება ჩემი სახლის კარი?!**
**ნუთუ ველარ მიცნეს განა?!**
**ნუთუ აფხაზეთმა, ცრემლი რომ მადინა**
**არ კმარა თვალებს რომ გამკრა ბინდი,**
**შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, ჩემო აფხაზეთო!**
**სიზმრად ერთი წუთით მაინც შემირიგდი...**
**ისევ შემირიგდი, თქვენიანი მქვია, -**
**ხმამაღლა გავძახე სახლსა და მინდორს,**
**მაგრამ ეს ძახილი არავის შეუტყვია,**
**ხმა არავინ გამცა და ვერავინ მიცნო...**
**მერე ავტირდი და თავში წავიშინე,**
**სულ ჩამოვიხოკე სახე,**
**ასე, მე ბევრჯერ დავიძინე და...**
**სიზმარში აფხაზეთი ვნახე..!“**

**როგორი მოლოდინი გაქვთ, იმედი თუ არ მომკვდარა იმის, რომ ოდესმე დაბრუნდებით?!**

- მე იმედი სულ მაქვს, სულ! მაგრამ, ჰაა... დღესაც ვლაპარაკობდი თანამშრომლებთან, მე თუ არ წავედი, ჩემი მეუღლე თუ არ წავიდა, აბა, ჩემი შვილები აქ დაიზარდნენ, შვილიშვილები აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ, იმათ რა იციან აფხაზეთი?.. ისე, უმცროსი შვილიშვილი შემეკითხება ხოლმე, - ბებო, რა გქონდათ იქ, ეზოშიო, რა ხილიო,.. უყვარს ხილი და... რომ ჩამოვუთვლი ხოლმე, - აუ, რა კარგიაო. ეჰ! კარგია, მაგრამ სადაა, ბებო-თქო.

**რომ იყოს დაბრუნება, წახვიდოდით?**

- წავიდოდით, აბა რა! იქ დედულეთის სახლი მელოდება, ჩემი სახლი მელოდება, ჩემი დის სახლი კიდევ და...

- მაგრამ... ვინ გვიშვებს... იყო ასეთი შემთხვევა, წითელი ჯვარი მოვიდა ჩვენთან, წაგიყვანთო, გადაგიყვანთ და გაჩვენებთ იქაურობასო, მაგრამ ამან არ გამიშვა - ხელი გაიშვირა მეუღლისაკენ. მეშინია, უსაფრთხო არ არისო,.. თორემ მე დაუფიქრებლად მივდიოდი.

**კარგით, დავიტოვოთ იმედი, რომ ოდესმე დაბრუნდებით. იმედი მაინც ბოლოს კვდებაო და... საერთოდ არ მომკვდარიყოს - მე ვისურვებდი!**

**მიუხედავად იმისა, რომ მე არ განმიცდია და ვერც გავიაზრებ ამას ისე, როგორც თქვენ, თუმცა მიახლოებულად მაინც საშინლად მტკივა თქვენი ტკივილი... ახლობლებიც მყავს დევნილები და მათ გამოც... აი, რომ წარმოვიდგენ, რომ ერთ დღეს, შესაძლოა მეც დამემართოს, მსგავსად გადავაადგილდე იძულებით სხვაგან, სხვა გარემოში, სხვა კლიმატში, უცხო ადამიანებთან, დავტოვო მშობლიური მიწა, ეზო, კედლები, ქუჩები, ყველა ის ჩემეული ადამიანი, ის ნივთი, რომელიც ჩემია და მიყვარს,.. უუჰ! ძალიან რთულია ასეთი ფიქრის წარმოდგენაც კი...**

- მეც ზუსტად შენსავით განვიცდიდი, ტელევიზორში რომ ვუყურებდი, ცხინვალი რომ დაიცალა, ხალხი რომ მოდიოდა, ტანსაცმელს და საკვებს რომ აძლევდნენ გზადაგზა, ვდარდობდი, ეე, რა საწყალია ეს ხალხი-თქო და... თურმე ცოტა ხანში ჩვენც გველოდებოდა აფხაზეთში ასეთი ამბავი და მათი ბედის გაზიარება.

**მას მერე ,,დამალობანას თამაში“ გრძელდება, ხომ?**

- ჰოო... (ცრემლებს მალავს)

**ერთსაც გკითხავთ და... რა გენატრებათ ყველაზე მეტად? - თან მეუღლეს მივუბრუნდი, რომელიც ამ საუბრის დროს შიგადაშიგ ჩაგვერთვებოდა ხოლმე...**

- ეეჰ!-ო, ზღვის ლოდივით დაუმძიმდა სათქმელი და... ისევ მეუღლემ, ქალბატონმა ნონამ შეაშველა - ზღვის პირასაა მონატრებული, ჩემსავით... და კიდევ, ჩვენთან რომ ცხელ ქვიშაზე ვადუღებდით ყავას, ის ყავაც ენატრებაო სოხუმთან ერთად...

**„გყოლოდი, ზღვაო, - რად გამაშვილე?!..“**
**სოხუმი ჩვენი ტკივილია.**
**იმედი მაქვს, სამუდამოდ არა.**

მოამზადა **ნანა კეველიშვილმა**

---

**იურიდიული კონსულტაცია**

# ახალი თავის ტკივილი ნაკვეთებში სამანქანო გზის გამოყოფისათვის

**მოქალაქეებს განსაკუთრებით იმ მუნიციპალიტეტის თემში, სადაც დაიწყო მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა წარმოეშვათ ახალი თავის ტკივილი. ნაკვეთებში მისასვლელი სამანქანო გზის არ არსებობა. ამასთან დაკავშირებით მივმართეთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწეს სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზედამხედველო კომიტეტის წევრს ბატონ თედო მელიქიძეს და ვთხოვეთ მიწის ნაკვეთებში მისასვლელ გზასთან დაკავშირებით არსებული კითხვებისთვის პასუხის გაცემა:**



**მიწის ნაკვეთები, რომლებიც ერთმანეთზეა გადაკვეთილი, ესაჭიროება სამანქანო გზები. მოქალაქეები ნაკვეთებში ითხოვენ მისასვლელ გზებს. გთხოვთ მოქალაქეებს, სამანქანო გზებთან არსებული პრობლემების და მისი ნებართვის დოკუმენტაციის მოპოვების შესახებ რომ განუმარტოთ უფრო დეტალურად?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 180-ე მუხლის რეგულირების სფეროს აუცილებელი გზის საკითხი წარმოადგენს. ისევე როგორც სამეზობლო სამართალში არსებული სხვა ნორმები (მაგ. საზღვრის გადაცდენა) აუცილებელი გზის უფლებაც საკუთრების კანონისმიერი შეზღუდვის ერთ-ერთი გამოვლინებაა. აუცილებელი გზის დადგენის საჭიროება შეიძლება წარმოიშვას თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, ელექტრო ნავთობის გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან. დასაკავშირებელი მონაკვეთი გულისხმობს არა მხოლოდ ბილიკს ან საცალფეხო გზას, მხედველობაშია ასევე სამანქანე გზა. სამეზობლო სამართალი უდგენს გარკვეულ შეზღუდვებს.

**მსგავსება და განსხვავება აუცილებელი გზისა და სერვიტუტს შორის?**

- გზის შინაარსის გაგება მისი სერვიტუტთან შედარების გარეშე არ იქნება სრულყოფილი.

სსკ 247-ე მუხლის შინაარსი, ისევე როგორც სსკ-180-ე მუხლის ერთი ნაკვეთის მეორის სასარგებლოდ დატვირთვას გულისხმობს.

აუცილებელი გზა სხვის საკუთრების სარგებლობის უფლებას წარმოაგდენს, რომელიც საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონისმიერი (არასახელშეკრულებლო) უფლებაა და გამოიყენება მეზობელი მესაკუთრის თანხმობის მიუხედავად. მეზობლის ნაკვეთის გამოყენება სახნავ მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ შესაძლებელია სახელშეკრულებლო ურთიერთობის საფუძველზეც, ანუ მეზობელ მესაკუთრესთან შეთანხმებით (სსკ 247-ე მუხლი სერვიტუტი), როცა არ გაქვს მხარეთა ნების თანხვედრა სახელშეკრულებლო ურთიერთობის ფარგლებში მოხდეს პრობლემის გადაჭრა, მოსარჩელე უფლებამოსილია კანონისმიერი სერვიტუტის (აუცილებელი გზა) უფლების დადგენა სასამრთლოსადმი მიმართვის გზით მოითხოვს. სერვიტუტი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ სახედ, ესაა სახელშეკრულებლო სერვიტუტი დგინდება. მხარეთა ნების ავტონომიიის პირობებში, როცა ერთი ნაკვეთის მესაკუთრე თანხმობას აცხადებს მისი ნაკვეთის სხვა ნაკვეთის სამსახურში ჩადგეს. სსკ 247-ე მუხლის რეგულირების სფეროს განეკუთნება, კანონისმიერი სერვიტუტის მაგალითი - აუცილებელი გზის შემთხვევაა, სადაც ერთმანეთის მომიჯნავედ მდებარე მეზობელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს შორის ნების თანხვედრა არ არის, ,,კეთილმეზობლური თხოვნა“ არ ჭრის და სასამართლოს მიერ აუცილებელი გზის დადგენისა და გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ არ ილახება მომსახურე მიწის ნაკვეთის მეპატრონის უფლებები ისე, რომ ფაქტიურად, ეკარგებათ თავისი ნივთით სარგებლობის და დანიშნულებისამებრ გამოყენების უფლება.

**აუცილებელი გზის პარამეტრების განსაზღვრის და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხზეც რომ გვესაუბროთ?**

- მიწის ნაკვეთის დატვირთვა აუცილებელი გზით გულისხმობს ისეთი პარამეტრებით მის დადგენას, რომელიც სრულად აღუდგენს სარგებლობის მიმღებ მესაკუთრეს ნაკვეთის თავისუფლად გამოყენების აუცილებელ პირობებს. რა მახასიათებლის უნდა იყოს აუცილებელი გზა თითოეულ საქმეში ინდივიდუალური განსაზღვრის საგანია. სამანქანე გზა შეიძლება იყოს ცალმხრივი ან ორმხრივი, ბუნებრივია მომსახურე მიწის გამოყენების მასშტაბები სხვადასხვა იქნება საფეხმავლო და სამანქანე გზის შემთხვევებში და კომპენსაციის ოდენობის დადგენისას გავლენას იქონიებს ოდენობაზე. სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე პარამეტრები და ზუსტი მდებარეობის დადგენა.

,,საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი ითვალისწინებს იმ უფლებათა და ვალდებულებათა ჩამონათვალს, რაც უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება, მათ შორისაა სერვიტუტიც, რადგანაც აუცილებელი გზა ,,კანონისმიერი სერვიტუტია ,,სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მოსამსახურე ნაკვეთის შემზღუდავი აქტი აღსასრულებლად საჯარო რეესტრში რეგისტრაციას საჭიროებს. მიწის სერვიტუტი უფლების მფლობელს ეკუთვნის არა როგორც პირს, არამედ როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს.

რეგისტრაციის სავალდებულობა მიმდინარეობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობიდან, რათა ახალ მესაკუთრეს შეექმნას წარმოდგენა როგორ უფლებრივი მდგომარეობის ნივთზეა საუბარი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში ახალ მესაკუთრეზე გადადის გზის თმენის ვალდებულება და ამასთანავე საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის უფლებაც.

სამშენებლო სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ მესაკუთრეს სურს მიწის ნაკვეთის გამოყენება სამშენებლო მიზნებისათვის, იგი უზრუნველყოილი უნდა იყოს არსებული საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრსატრუქტურით, რომელსაც დაუკავშირდება არნაკლებ ერთი მისავლელი, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მესაკუთრეს ეზღუდება უფლება შეათანხმოს ნებართვის გამცემ ორგანოებში (საჯარო გზასთან მინიმუმ ერთი გზის არ არსებობის გამო). როცა მეზობელს არ სურს მის საკუთრებაზე შეზღუდვის დადება, მიზეზად კი საბაზრო ფასზე უარყოფით გავლენას ასახელებს, ერთადერთი გზა სასამართლო წესით მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. სამშენებლო ნორმები განასხვავებს საფეხმავლო გზას (1,5) ცალმხრივ სამანქანო გზას 3-3,5 მეტრი) და ორმხრივ სამანქანო გზას. ძირითადად ორმხრივი სამანქანე გზის დადგენა ხდება ქალაქებში, სადაც მოძრაობის ნაკადი დიდია და აუცილებელია ორმა მანქანამ ერთმანეთისთვის გზის აქცევა შეძლოს. ასეთი გზის სიგანე მინიმუმ 6 მეტრს უნდა აკმაყოფილებდეს.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

---

# სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავება სავალდებულო გახდება

**საქართველოს მთავრობა მუშაობს მიწის კოდექსის პროექტზე, რომლის პარლამენტისთვის წარდგენაც მიმდინარე საშემოდგომო სესიაზე განიხილება.**

როგორც პარლამენტის 2024 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაშია აღნიშნული, მიწის კოდექსის შემუშავება განპირობებულია იმით, რომ მიწის კანონმდებლობა არ არის სისტემატიზებული, მიწასთან დაკავშირებული საკითხები დაქსაქსულია და მოწესრიგებულია სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, რაც ართულებს მიწასთან დაკავშირებული რეგულაციების აღქმადობას.

,,გარდა აღნიშნულისა: სხვადასხვა კანონში ტერმინები სხვადასხვაგვარად არის განმარტებული და ურთიერთშეუსაბამოა. საკანონმდებლო აქტები მიღებულია სხვადასხვა წლებში და არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა შინაარსობრივად ერთგვაროვან საკითხებზე;

არსებული საკანონმდებლო აქტების აღსრულება წარმოადგენს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციას, ცალკეულ შემთხვევებში მკვეთრად არ არის გამიჯნული კომპეტენციები ან ბუნდოვანია რომელ უწყებას ექვემდებარება საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის, ქვეყანაში არ არსებობს ოფიციალური უწყება, რომელიც ნიადაგის მიხედვით დაადგენს მიწის მიზნობრივ დანიშნულებას და კატეგორიას;

არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულებით შეცვლის შემთხვევაში, მიწის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის მკაფიო კრიტერიუმები, რომელიც დაეფუძნება ნიადაგის შეფასებას, მოსავლიანობას, მიწის ნაკვეთის ღირებულებას და ა.შ;

მიწის დანიშნულების და კატეგორიის დადგენის მიზნით, გამოიყენება საბჭოთა პერიოდის მიწათსარგებლობის გეგმები, რომლებიც მოძველებულია და არ ასახავს ადგილზე დღეს არსებულ მდგომარეობას. ეს გეგმები არ ახლდება და საკანონმდებლო



აქტით არ არის დადგენილი უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საკითხზე;

წყლის ფონდის, წიაღის და მიწაზე კერძო საკუთრების საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგება რიგ შემთხვევაში, ბუნდოვანია;

არ არსებობს მიწის საბაზრო ღირებულების შეფასების ერთიანი სისტემა;

არ არის დადგენილი მესაკუთრის ვალდებულება, დაამუშაოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;

არ არის დადგენილი ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმი მიწათსარგებლობაზე სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მიწასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა იმ საკითხებისა, რომელიც, თავისი არსით მიზანშეწონილია, ან კონსტიტუციიდან გამომდინარე, სავალდებულოა, რომ ცალკე საკანონმდებლო აქტებით რეგულირდებოდეს) მოწესრიგდეს ერთიანი, სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტით, რომელშიც თავს მოიყრის ყველა ის მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც მიწის შენარჩუნებასა და გამოყენებას, სამართალურთიერთობებში ყველა პირის უფლება-მოვალეობებსა და ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას განსაზღვრავს“, - ვკითხულობთ გეგმაში.

# განათლება არის რისკი, რომ ენდო!

**ახალი სასწავლო წელი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში. პროცესმა ოფიციალურად მთელი ქვეყნის მასშტაბით მდებარე უმეტეს სასწავლო დაწესებულებებში აიღო სტარტი. სკოლის ზარი პირველად 50 000 მეტი პირველ კლასელისთვის დაირეკა.**

ახალი სასწავლო წელი მოსწავლეებსა და მასწავლებლებს განათლების მინისტრმა მიულოცა და რეაბილიტირებული №160-ე საჯარო სკოლა დაათვალიერა.

სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს პრემიერ მინისტრი. ირაკლი კობახიძის განცხადებით, ერთი თვის ვადაში, სახელმწიფო, დამატებით, 38 სკოლის მშენებლობა/რეაბილიტაციაზე იზრუნებს.

მომდევნო წლებში ქვეყნის მასშტაბით 2100 სკოლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. 60-მდე სკოლა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა. ახალ სასწავლო წელს მოსწავლეებს უსაფრთხო და თანამედროვე სასკოლო ინფრასტრუქტურა დახვდათ.

სპორტდარბაზი, ინტერნეტ-ქსელები, კომპიუტერები, ლაბორატორიები, ადაპტირებული, თანამედროვე სტანდარტები - პროექტის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული პრობლემები 2 ათასზე მეტ სკოლაში მოგვარდება. წლის ბოლომდე, 100-მდე სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, 28 ათასზე მეტი მოსწავლე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის გარემოში ისწავლის.

დიდი ჟრიამულითა და სიხარულით დაიწყო სასწავლო წელი ჩვენს ქალაქშიც... შვილებზე არანაკლებ გამოწყობილი მშობლები აჟიტირებულნი ელოდნენ სკოლის შენობებში შესვლას... სკოლების ხელმძღვანელებმა გულითადად მიულოცეს ყველა იქ მდგომთ სასწავლო წლის დაწყება და წარმატებული, ნაყოფიერი წელი უსურვეს.

მეც ვუერთდები ამ ლამაზ სურვილებს და აქვე, ჩემს სურვილებსაც მოვაყოლებ...

ბავშვის აღზრდა-განვითარება მრავალმხრივი პროცესია, იგი მოზარდის სრულყოფილებაა და ზრუნვაა იმისათვის, რომ მან დაიმკვიდროს თავისი ადგილი საზოგადოებაში, ჰქონდეს სრულფასოვნების განცდა და თვითდამკვიდრების უნარი, ე.ი. მოხდეს მისი სოციალიზაცია. პიროვნების



სოციალიზაცია - ადამიანის მიერ ქცევისა და მოქმედების გარკვეული სისტემის, ნორმებისა და ფასეულობების ათვისების პროცესია, რომელიც აძლევს მას საზოგადოების ღირსეული წევრობის უფლებას. დღეს, სადაც ორგანიზებულად, კვალიფიცირებულად და მეცნიერულად დასაბუთებულად შეიძლება წარიმართოს. მოზარდის სოციალიზაცია - სკოლაა, ხოლო ის უჯრედი, სადაც ფეხს იდგამს ბავშვი და იწყებს სამყაროს შეცნობას - ოჯახი, რომლის გავლენა ხშირად ვერ არის სწორად მიმართული სახელმწიფოს ეროვნული განათლების პოლიტიკის მიზნისკენ. ამიტომაცაა სკოლისა და ოჯახის პედაგოგიური თანამშრომლობა აქტუალური, ბავშვის აღზრდის მართებულად წარმმართველი უდიდესი ძალა.

**სკოლა და ოჯახი ის ძირითადი მიკროფაქტორებია მოზარდის ცხოვრებაში, რომლებიც განსაზღვრავენ მის სოციალიზაციას, ინტეგრირებას საზოგადოებაში.**

**სკოლა, ოჯახი და საზოგადოება უწყვეტი ჯაჭვია მოზარდის ფორმირებაში. ძლიერი სკოლა ნიშნავს ძლიერ სასკოლო საზოგადოებას**.

უკეთესი რომ გახდეს ტრადიციული სკოლები, ჰუმანისტური, პიროვნებაზე კონცენტრირებული უნდა იყოს. ვისურვებდი, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები ხშირად ეკონტაქტონ ერთმანეთს, ინიციატივიანები იყვნენ ყველაფერში და მეტი დრო მოანდომონ საკუთარი სასწავლო ამოცანების გადაჭრას, არ გააცდინონ მეცადინეობები... მაღალი თვითშეფასებით ხასიათდებოდნენ, უფრო მაღალი აკადემიური წარმატებებით გამოირჩეოდნენ სასწავლო საგნებში... მეტად შემოქმედებითები იყვნენ. თვითონ მასწავლებლები ორიენტირებულები უნდა იყვნენ ინდივიდუალურ, დიფერენცირებულ და შემოქმედებით მიდგომაზე. მეტი ყურადღება მიაქციონ ბავშვის განცდებს, სისტემატურად გამართონ მოსწავლეებთან დიალოგი, გაითვალისწინონ მოსწავლეთა შეხედულებები.. ხშირად გაიღიმონ გაკვეთილზე და სხვა. დამერწმუნეთ, შედეგები კი მეტად სასიამოვნო იქნება. ასეთ სკოლებში ბავშვებს ეყვარებათ სწავლა!

**რა თავისებურებებით ხასიათდება ის სასწავლო გარემო, რომელიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს განვითარდეს და ხალისიანი და ბედნიერი იყოს?**

მოსწავლეებს სურთ, რომ მათ ეპყრობოდნენ ნდობითა და პატივისცემით. მოვიშველიებ რამდენიმე გამონათქვამს: - **„ყველა მასწავლებელი პატივს გვცემს და ჩვენც ასევე ვიქცევით“, „ისინი კი არ ლაპარაკობენ, არამედ გველაპარაკებიან, ზემოდან არ გვიყურებენ“, „მასწავლებელი გვენდობა, იცის, რომ ჩვენ ამ სამუშაოს ისე შევასრულებთ, როგორც შეგვიძლია“, „მასწავლებელი კი აღნიშნავს, რომ ეს გარკვეული რისკია, მაგრამ საჭირო და სასარგებლო“. ჰოო! მოსწავლეს უნდა ენდო.**

მოსწავლეებს სურთ ისეთი მასწავლებლი, რომელიც დაინტერესებულია მათი წარმატებით და არა მარცხით. ერთ-ერთი მოსწავლე მკვლევარს უყვება: **- ჩემი მასწავლებელი საშუალებას არ მაძლევს დავმარცხდე, ისეთი რთული მდგომარეობიდან გამოვუყვანივარ, რომ მეგონა, აღარაფერი მიშველიდა. მოვა ჩემთან, შემეკითხება, გაარკვევს რა მიჭირს, დამეხმარება, დამატებით მამეცადინებს და ბევრ ისეთ აზრებს მაწვდის, რაც არც კი ევალება. არა მარტო მათემატიკის ამოცანების ამოხსნაში მეხმარება, არამედ აინტერესებს, მე როგორ ვაკეთებ, რას ვფიქრობ ამოცანაზე. როცა მას „ფანჯარა“ აქვს, შემიძლია ვთხოვო დახმარება და უარს არ მეტყვის, დამელაპარაკება ოჯახურ პრობლემებზეც კი, მომისმენს“.**

ერთმა სპეცსკოლის („ცუდი ქცევის“) მოსწავლემ მკვლევარს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ წაახალისა მასწავლებელმა წარმატებისკენ და ააცილა ციხის გზას: - **მან შანსი მომცა. როდესაც რაიმეს არასწორად ვაკეთებდი, ის ნებას მრთავდა კვლავ და კვლავ მეცადა, ვიდრე არ გამომივიდოდა. მოთმინებით ელოდა ჩემს წარმატებას, ასეთი შანსი ბევრ მოსწავლეს არ აქვს, მე გამიმართლა. ასეთ დროს ბევრი მასწავლებელი გაჩქარებს, გიყვირის, საერთოდ არ გელაპარაკება, ან შეიძლება კლასიდანაც გაგაძევოს. ჩემი მასწავლებელი კი არასოდეს მაძლევდა საშუალებას მეზარმაცა.**

მასწავლებლის ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო ღირებულია „ცუდი ქცევის“ მოსწავლეების მიმართ. ჰუმანური აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელი კარლ როჯერსი წერდა:

**ერთი კოლეგა ციხის სკოლაში ასწავლიდა. მან მითხრა, რომ აღმოაჩინა 3 სერიოზული მიზეზი, რის გამოც პატიმრები ვერ ახერხებენ გაარღვიონ დანაშაულისა და სასჯელის წყეული წრე:**

**1. ყველა მათგანს აქვს წაკითხულის გააზრების პრობლემა, რაც ხელს უშლით სოციალური წარმატების მიღწევაში;**

**2. მათ ვერ გაიხსენეს მასწავლებლები, რომლებიც ადამიანურად ეპყრობოდნენ;**

**3. ყურადღების ცენტრში მხოლოდ მაშინ ხვდებოდნენ, როცა პრობლემებს ქმნიდნენ...**

საუკეთესო საშუალება დანაშაულის ტალღის შესაჩერებლად, რომელმაც წალეკა ჩვენი ქვეყანა, სკოლების გაადამიანურება შეიძლება აღმოჩნდეს და არა ახალი ციხეების აშენება“, - ასკვნის ის.

**სკოლა ერთი დიდი ოჯახია, სადაც განათლებას იძენ, ეს ,,განათლება ჰგავს მზეს, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბობს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს““ - წერდა ილია ჭავჭავაძე.**

გილოცავთ კიდევ ერთხელ ყველას - მასწავლებელ-მოსწავლე-მშობელს ახალი სასწავლო წლის დაწყებას! იყავით ლაღები, გულწრფელები, გიყვარდეთ ერთმანეთი და იზრუნეთ ერთმანეთზე, ადამიანური რესურსები განავითარეთ და განათლებაც სხვანაირად მოიკიდებს ფეხს!

,,განათლებული მხოლოდ ისაა, ვინც იცის, როგორ ისწავლოს და ასწავლოს“.

**მოამზადა ნანა კეველიშვილმა**

## არმანი იურისტად დაგვიბრუნდება



**მიმდინარე წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან სამმა აბიტურიენტმა, ქალაქის მესამე სკოლიდან მარიამ გაგლოშვილმა, საბა ხაჩიძემ და ტაბაწყურელმა არმან მურადიანმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და 100 პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს.**

**სასწავლო წლის დაწყების წინ შევხვდით ტაბაწყურელ ახალგაზრდას არმან მურადიანს და გავესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე, რომელმაც სიამაყით გვითხრა, - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსამზადებელ ჯგუფში ჩავირიცხე და მომავალი წლიდან ავტომატურად გავაგრძელებ სწავლას იურიდიულ ფაკულტეტზეო.**

**გასულ სასწავლო წელს ტაბაწყურის საშუალო სკოლა ათმა მოსწავლემ დაამთავრა, ორი ახალგაზრდა ერევანში წავიდა სასწავლებლად, სამი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, მათ სპეციალობად მათემატიკა და ლოგიკა აირჩიეს, ისინიც მოსამზადებელ ჯგუფებში ჩაირიცხნენ.**

**არმანის უფროსი ძმა არტაკი თბილისში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა და მეორე კურსის სტუდენტია.**

**არმანის დედა ტაბაწყურის სკოლის პედაგოგია, ხოლო მამა - მძღოლად მუშაობს.**

**წარმატებებს ვუსურვებთ არმანს, მის ძმას და მეგობრებს.**

### ვიცოდეთ ჩვენი სამშობლოს ისტორია

# ამომავალი მზის ხეობა

**1619 წლის გიორგი სააკაძის მეთაურობით ტაშისკრის ბრძოლაში ფარხან-ხანის დიდი ლაშქრის განადგურების შემდეგ ქართველებმა თორის ხეობის გათავისუფლება შეძლეს.** ნახვეტარას ველზე, ქვიშხეთის ახლოს, სააკაძის მიერ მოგებული ომის მოწმეა ტაშისკარის დიდხნოვანი ლელვის ხე. ლეგენდის მიხედვით გამარჯვებულ გიორგი სააკაძეს მის ქვეშ სანადიმო სუფრა გაუშლია.

1613 წლიდან საქართველოს საზღვარმა ტაშისკარიდან სოფელ დვირში გადაინაცვლა.

1772 წლის ბორჯომის ხეობაში შემორჩენილი პუნქტებია: ახალდაბა, ბორჯომი, ნეძვი, კორტანეთი, ყვიბისი, ნუა, ფაფა, ლიკანი, პეტრესა და გოგიას ციხეები და სხვა. უეჭველია, რომ ხანგრძლივი დროით მოსახლეობის აყრა, გაუკაცრიელება ხელს შეუწყობდა ტყის გამრავლებას, გაფართოებას, რომელსაც არც ნაჯახი აწუხებდა და არც ადგილობრივი მოსახლეობა და საქონელი. ე.ი. ტყემ იხარა. როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ნაძვმა ბორჯი ფესვი გაიდგა. დიახ, ხეობა ტყის სამყაროდ გადაიქცა. თორში, მის მიდამოებში უზარმაზარი ტყის მასივებია, სადაც გიგანტური ნაძვის ხეებია, კერძოდ ნადარბაზევის ტერიტორიაზე, ნაძვი სიმაღლით 35 მეტრია, ხოლო დიამეტრით 170 სმ, თქმულების თანახმად, აქ ნადარბაზევში თამარ მეფეს რეზიდენცია ჰქონია და უთქვამს: **,,თორის ხეობა საქართველოს სახელმწიფოს გვირგვინის მარგალიტიო“.**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი ..ბორჯომი“ №38, 2024 წელი.**

1829 წლის თურქეთ-რუსეთის ზავის საფუძველზე მტკვრის ხეობა საქართველოს დაუბრუნდა: ახალციხე, ადიგენი, აბასთუმანი. 1830 წლიდან თორის ხეობა და შემდეგ სადგერის ხეობა ბორჯომის ხეობად შეიცვალა. მოეწყო გზები, ხიდები, მეფის რუსეთის პერიოდში ინტენსიურად დაიწყო ხე-ტყის გადამუშავება, შეიქმნა დაცული ტერიტორიები, ლომის მთის მიდამოებში მოშენდა ირმის ჯოგები, ხოლო მტკვარზე ტივებით დაცურებული მორები თბილისის ბაზარზე იყიდებოდა.



1867 წელს მინერალური წყლის ანალიზი ჩაუტარებიათ, პროფესორი სტრუვე წერდა: **„ძნელია ზაფხულობით საცხოვრებლად ბორჯომზე უკეთესი ადგილი მოძებნო, აქ ბუნებას უხვად დაუბერტყია თავისი მშვენიერი კალთა“**. 1871 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ინახულა ბორჯომი და აღტაცებული დარჩა.

ბორჯომს ეწვია დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი: - **„უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ, უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს, - იცით, ზოგჯერ ღმერთს გეფიცებით აღტაცების ცრემლებსაც კი ვღვრი, ამ სილამაზის ხილვით, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით... ეს ყველაზე ღვთაებრივი ადგილია მთელს მსოფლიოში“, - წერდა იგი.**

ვარაუდობენ, რომ აქ ჩაეწვეთა დიდ კომპოზიტორს გულსა და გონებაში ქართველი დედის ნაზი, ნაღვლიანი სიმღერა ,,იავნანა“, რომლის მელოდიაც შემდეგში თავის ბალეტ ,,მაკნატუნაში“ გამოუყენებია, აქვე დაუწერია საორკესტრო სუიტა ,,მოცარტიანა“, აქ მუშაობდა ბალეტ ,,მძინარე მზეთუნახავზე“.

ბორჯომში ორჯერ ისვენებდა აკაკი წერეთელი. დიდი ქართველი პოეტი, რომელიც მოხიბლულა ბორჯომის მინერალური წყლის პარკის ხილვით და ერთ დროს მოქმედ ჩანჩქერზე ლექსი დაუწერია. დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა, აქ ცხრაწყაროს მთებსა და მზის ამოსვლასა და ჩასვლას მიუძღვნა ოპერა ,,დაისის“ უვერტიურა.

საბავშვო კომპოზიტორის მერი დავითაშვილის დედა ბორჯომელი გახლდათ. მერის ბავშვობა და შემდეგი წლებიც ბორჯომის ხეობაში გაუტარებია. მან შესანიშნავი სიმღერა მიუძღვნა ბორჯომსა და ბაკურიანს შორის მოძრავ ,,კუკუშკა“ მატარებელს. მას თავის მოგონებათა წიგნში - **,,მოგონებები გარდასულ დღეთა“** კარგად აქვს აღწერილი დილით ცხრაწყაროს მთებზე ამომავალი მზის ხილვა, რომელიც მართლაც უნიკალური სანახავია: ,,უკუნ ღამეში ავედით უღელტეხილზე, ქედი ფეხით ავიარეთ, ალიონმა მოაღწია, ვიყურებით აღმოსავლეთისაკენ... უფრო სიბნელეა... არაფერი ჩანს... კარგა ხნის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო - საოცრება. ჯერ სიბნელე ნელ-ნელა გაირღვა, შავი ფერი სხვადასხვა ფერმა შეცვალა, გაჩნდა მუქი ლურჯი, მუქი იისფერი, მუქი მწვანე ფერები:. ეს მთები, ხეობები შეფერადნენ, ფერთა ფანტასმაგორია წარმოიშვა. უცებ ბნელ ცაზე განათდა წითელი ხაზი და თოკივით გაიჭიმა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს კავკასიონის მწვერვალები შეფერადნენ წითლად, შემდეგ ამ ცეცხლოვან ,,თოკზე ამოხტა“ ცეცხლისფერი ბურთულა და ისევ უკან ,,ჩახტა“, მერე ნელ-ნელა მზე ამოიწვერა და მთელი მიდამო - მთები, ხეობები სხვადასხვანაირად გაანათა. ჯადოსნური ხილვა მალე დამთავრდა, ჰორიზონტზე სრულად ამობრწყინდა დიდებული მზე!

მეც მხვდა წილად, მენახა ეს მართლაც ჯადოსნური სანახაობა, მართლაც რომ ზღაპრული მოვლენა. მაშინ ტელევიზიაში, პირველ არხზე ვმუშაობდი და ეს გადაცემა - ,,ამომავალი მზის ხეობა“ ბორჯომის ხეობაში გადავიღეთ. გადამღებ ჯგუფთან იქ, მაღლა, ცხრაწყაროს მთაზე გადმოსახედიდან ეს საოცრება ვნახე.

შემდგომში ბორჯომი და ბორჯომის მინერალური წყარო მოექცა დიდი ყურადღების ქვეშ, მოიზიდა ხალხი და გახდა ერთ-ერთი გამაჯანსაღებელი კერა, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე საბჭოთა ხალხისა და ევროპისათვის. აქ ისვენებდა იოსებ სტალინი და მაშინდელი მთელი პოლიტბიუროს წევრები. ბორჯომის ხეობაში არის მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლები, 200-მდე აღწერილი და ამდენივე აღუწერელი. დაწყებული ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ციხე-სიმაგრეებით, დამთავრებული XXI საუკუნის აშენებული სასახლეებით. აღსანიშნავია, ტიმოთესუბნის ეკლესია, ახალდაბის, ლიკანის, მწვანე მონასტრის, ჩითახევის და სხვა უამრავი ნასახლარები, ნაეკლესიარები. ციხისჯვრისა და თორის მიდამოებში, მათ შორის თორში ,,ნადარბაზევად“ წოდებული ნანგრევი-ტაძარი, სადაც ასვენია ბოლნისის ფორმის მომცრო ჯვარი.

უტყუარი საბუთია, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც დაცულია უნიკალური ნიმუშები, ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი ფლორისა და ფაუნის, კულტურული თუ საყოფაცხოვრებო მასალები. მათი დათვალიერებით მდიდარი შთაბეჭდილება დაგრჩებათ აწმყოსა და მომავალზე, მის უნიკალურ ტყესა და ველზე, ჰაერზე, ბორჯომის უნიკალური წყლის გემოზე.

**ვანო გელაშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**

## იუბილარი პოეტი
# ასაკი მხოლოდ ციფრებია

**ბორჯომელი მკითხველისათვის და გაზეთ „ბორჯომის“ კოლექტივისათვის უსაყვარლეს და უძვირფასეს პოეტს, იზო სარქისიანს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.**



პირველი დამოუკიდებელი შეხვედრა და შეხება ქართულ სიტყვასთან მეექვსე კლასში ჰქონდა, მაშინ, როდესაც ახალი წელი ახლოვდებოდა და სკოლის ოლიმპიადისთვის ამზადებოდნენ, სწორედ იმ დროს გამოუტყდა პედაგოგს, რომ ლექსი დაწერა. ახსოვს, მასწავლებლისაგან შესაბამისი რჩევაც მიიღო - იზო, რითმებს მიაქციე ყურადღება. და მას შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ანჟელი გონგლაძის რჩევა დღესაც ახსოვს და ამბობს, რომ მისი არც ერთი ლექსი რითმის გარეშე არაა. შემდეგ იყო სკოლის კედლის გაზეთი, სადაც აქტიურად იბეჭდებოდა ქალბატონი იზოს ლექსები. იხსენებს, როდესაც სკოლაში ე.წ. სარაიონო თემა მოდიოდა დასაწერად, მე მუდამ თავისუფალ თემას ვწერდიო. მისი ლექსები ხშირად იბეჭდება, რა თქმა უნდა, მისი მეორე ოჯახის როგორც თვითონ ეძახის, გაზეთ „ბორჯომის“ ფურცლებზეც.

პოეტები ხომ ყველაზე მეტად ახლოს არიან უფალთან და ეს ნათლად იგრძნობა მის შემოქმედებაში. თვითონაც ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარში ხშირად ვერ დადის, მას თავისი წილი ურთიერთობა აქვს უფალთან. ასაკი მხოლოდ ციფრებია, უფალმა ყველაზე უკეთ იცის, რითი ვსულდგმულობ და რა არის ჩემი გულის ნადები. როდესაც წლების შემდეგ საკუთარი ნაწერები წაუკითხავს, უთქვამს, ნუთუ ეს მე დავწერეო და მაშინ უფრო მეტად გრძნობს უფლის სიახლოვეს.

ამბობს, რომ წლებს მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, 70 წელიც მისთვის არაფერს ნიშნავს, თვლის, რომ უბრალოდ დრო გადის, ასაკი გვემატება. მიაჩნია, რომ ყველა ასაკის ადამიანთან მისი თანატოლია, დიდთან დიდია, პატარასთან პატარა. ცოტა ხანში მზის სინათლეს მისი ლექსების კრებული იხილავს, სახელწოდებით **„საგზლად სიყვარულიც მეყოფა“.** კრებულში 200-მდე ლექსი მოიყრის თავს და ეს ყოველივე იქნება ქალბატონი იზოს არც თუ ისე მცირე შემოქმედების ერთგვარი შეჯამება იმ განვლილი წლებისა, რაც მან ქართული მადლიანი სიტყვის სამსახურში გაატარა. კიდევ ერთხელ ვულოცავთ უსაყვარლეს პოეტს იუბილეს და მკითხველებს საგზლად მის ახალ ლექსს დავუტოვებთ:

## გულს გადაგიშლი უფალო

**გულს გადაგიშლი უფალო,
ამიწრიალდა კვლავ სული,
მგონია, ამ ქვეყანაზე
მეორედა ვარ მოსული.
მხოლოდ ჯაფა და წვალება,
აღმართში ტანჯვით ვიარე,
რა ცოდვა მქონდა ასეთი,
რომ ველარ გადავიხადე?
სიყვარულის და სიკეთის,
რაც მეტი მადლი გავეცი,
ცხოვრებამ კვანტი გამომდო,
მწარედ მიწაზე დავეცი.
ქვეყნად მოხვალ და იწვალებ,
ბედმა ჩურჩულით გამანდო,
სხვებში რომ არ ავრეოდი,
ფეხზე ნიშანიც დამადო.
ზე-უძლიერეს განგებამ
ქუდბედით გამაჩინაო,
ქვეყნად არც-არა შემხვდა და
პირლია დამარჩინაო.
კვლავ რწმენით ვხედავ სამყაროს
და გევედრები უფალო,
შური და ბოღმა მაშორე,
სხვის უგულობას ვწუხვარო.
თუ გამაჩინე ამქვეყნად,
ძალაც მომეცი ვიარო,
ჩემი სავალი ციცაბო,
ღირსებით გადავიარო.
რა ვქნა თუ ადამიანის,
მე ვერ დავკარგავ სახესა,
ისევ შენ შემიმსუბუქე,
შური რომ მიგებს მახესა.
ჩემთვის განკუთვნილ სავალ გზას,
ვერ დავიკვეხნი ლხენითა,
უფალო არ მიმატოვო,
გამაძლიერე რწმენითა.
ისევე შენით ვსულდგმულობ,
გულმოწყალებას მოველი,
გთხოვ, ხელი შემომაშველე,
მესამედაც თუ მოვედი.
(იზო სარქისიანი. ცემი.)**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# თბილისი და ბაკურიანი ზამთრის ოლიმპიადისათვის ემზადებიან



**2025 წელს საქართველო უმასპინძლებს ევროპის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს, რისთვისაც ბაკურიანში შენდება ბიატლონის ინფრასტრუქტურა, ხოლო თბილისში - ყინულის სასახლე. პროექტირებისა და სამუშაოების წარმოებისას სრულად არის დაცული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აბსოლიტურად ყველა მოთხოვნა და სტანდარტი.**

- მჭიდრო თანამშრომლობისა და პერიოდული მისიების ფარგლებში, კომიტეტთან თანხმდება ნებისმიერი საკითხი. ამ პროექტების შედეგად, ქვეყანას ექნება ოლიმპიური სტანდარტის ინფრასტრუქტურა, რომელიც არა მხოლოდ ფესტივალის მიზნებისთვის, არამედ სპორტის შესაბამისი სახეობების განვითარებისათვის დიდ როლს შეასრულებს, განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ირაკლი ქარსელაძემ** ბაკურიანსა და თბილისში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოების მონახულების შემდეგ.

ბაკურიანში ბიატლონის და თხილამურებით რბოლის ტრასების და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. რბოლის ტრასების ხელოვნური გათოვლიანებისათვის ეწყობა წყალმომარაგებისა და ელექტროსისტემებიც. დასრულების ეტაპზეა თბილისის ყინულის სასახლის კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობა და სამუშაოები ორივე პროექტზე მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

ჰოკეის, ფიგურული სრიალისა და კერლინგის სპორტის სახეობებისთვის გათვლილი თბილისის ყინულის სასახლე 700-მდე მაყურებელზეა გათვლილი სასახლის შენობაში მოეწყობა ყინულის მოედანი (60მX30მ), სავარჯიშო, ქორეოგრაფიული, საგრიმიორო და საკონფერენციო დარბაზები, გასახდელები, ინვენტარის შესანახი, დასასვენებელი, სამედიცინო ოთახები და სველი წერტილები, გათვალისწინებულია კაფე-მოედნის პანორამული ხედით და ავტოსადგომი. შენობაში მონტაჟდება გაგრილების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმს და ყინულის საფარის გაგრილებასთან ერთად, არეგულირებს ტენიანობის დონესა და მაყურებლთა სივრცის გათბობას. მოედანზე დამონტაჟდება ორი ტაბლო და განათების სისტემა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 50 მილიონ ლარზე მეტით ფინანსდება.

# ჩემო აფხაზეთო

**მაგნოლიებს და აკაციებს მოაქვთ სურნელი,
უცხო სიმწვანე და ნარინჯი სულს ეფერება,
ვეებერთელა მზეს, მოლაპლაპეს, ზღვა ალივლივებს,
გადაჭიმულა სანაპირო ჭრელ-ჭრელ ფერებად
მწვანე თვალება, ლურჯო ზღვაო, წყალო კამკამავ,
ხან მოქუფრულო, ბრაზიანო, ავად მღელვარევ,
ხან უზარმაზარ, ველურ ლოდებს შეხეთქებულო,
დიდო ტალღებო, დამსხვრეულნო, მზის ქვეშ ელვარედ.
შენ, აფხაზეთო, დედამიწის სამოთხე გქვია,
ჩვენო სისხლ-ხორცო, მარილო და წმინდა ნაწილო,
უაფხაზეთოდ საქართველოვ, გულში დაჭრილო,
წელში გამტყდარო, სისხლისგან თითქმის დაცლილო.
ღვთის წყრომა იყო, თუ რა იყო, ჩვენს თავს, ვერ ვხვდები,
ო, რა სასჯელი, განსაცდელი, ჩვენზედ მოსულა,
ვის ბინძურ სურვილს შესწირვიან ანგელოზები,
გამწარებულან ოჯახები, კვირტი მოზრულა.
სასაკლაოზე შეშვებულო ერის იმედო,
თოვლში გარეკილ ნახირივით დევნილო ერო,
და მაინც, შენ თავს, აფხაზეთო, ვერვინ წაგვართმევს,
ღვთივ კურთხეულო, ამ მიწაზე, ჩვენა ვართ, მტერო!
ჩვენო ლამაზო აფხაზეთო, აფხაზეთივით,
თქვენს დაბრუნებას ყოველ წამს და წუთას ველოდი,
ჩვენ ხომ ყველანი სტუმრები ვართ დედამიწისა,
ჯერ კი ვიხაროთ ამ წალკოტით, ზღვით და მდელოთი,
და როგორც წინათ, აფხაზთა და ქართველთ სამეფო,
მოდით, ღმერთს დავხვდეთ ერთიანი საქართველოთი!**

**ოლიკო ლომიძე**

# „ფიროსმანის ერთი ვარდი“



**ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკაში მაკა ბლიაძემ სკოლის მოსწავლეებს მისი ნათელი ფერებით, სიყვარულით, სითბო მოცული შემოქმედება თავადვე გააცნო. წიგნის - „ფიროსმანის ერთი ვარდი“ პრეზენტაციაც შედგა. დიდი ინტერესით უსმენდნენ ავტორს, როდესაც საუბარს იწყებდა. შეგრძნებას გიტოვებდა, რომ შეხვედრა კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო. ვუსმენდი და სულ სხვა სამყაროს ლაბირინთებში მიმაქანებდა მისი ყოველი წინადადება, სიტყვა. ეს უშუალოდ უნდა ნახო, მოუსმინო, რომ იგივე განცდა დაგეუფლოს. მის თვალებში მხოლოდ სიკეთის ბრწყინვალებას შენიშნავდით. მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და მათ ვისაც, უბრალოდ ქალბატონი მაკას მოსმენა სურდა, გარინდებული მხოლოდ ერთი მიმართულებით მიეპყროთ მზერა. მათი გონება ავტორის ნათქვამ სიტყვებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.**

- მე ბავშვობა აქ მაქვს გატარებული. გავიხსენე როგორ ვპატრონობდით დაზიანებულ წიგნებს ბიბლიოთეკაში.

დღეს, თქვენთან შეხვედრისას მოვეფერე ფიროსმანს, ვაჟას, საქართველოს. შემოდგომა არის მადლიანი დრო და უნდა იწყებოდეს მადლიანად, კეთილი სიტყვით, სიყვარულით, რწმენით, იმედითა და პატივისცემით.

გვახსოვდეს, რომ ბავშვი არც ერთი წუთით არ მოგისმენს თუ არ დაინტერესდა. ყველა მოსწავლეს ვუსურვებ კარგ მასწავლებელს, რადგან საგანი უყვართ იმის მიხედვით, მოსწონთ თუ არა მასწავლებელი. მადლობა, რომ ასე დავიწყეთ ახალი სასწავლო წელი, მადლობა შეხვედრის ორგანიზატორებს, - გვითხრა ქალბატონმა მაკამ.

„ფიროსმანის ერთი ვარდი“-ს გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა ალავერდად ნახატის სახით ფურცლებზე გადაიტანეს ნაწარმოების პერსონაჟები და სიუჟეტები.

შეხვედრის ინიციატორი გახლდათ, ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი, ქალბატონი **ნაირა ამანათაშვილი.** საუბრისას მათ გაიხსენეს, თუ როგორ მიულოცეს მკითხველებს პანდემიის დროს, ბიბლიოთეკარის დღე ბორჯომის ცენტრალური პარკიდან, არც ტრადიციად ქცეული „აჩუქე წიგნი“ დავიწყებიათ და პანდემიის დასრულების შემდეგ ბიბლიოთეკაში მისული პირველივე მკითხველი მაკა ბლიაძის წიგნების საჩუქრად გადაცემით გაახარეს.

ახლადრეაბილიტირებულ ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკაში თქვენ დაგხვდებათ კომფორტული გარემო, სადაც შეძლებთ შეიყვაროთ წიგნების ყველაზე მიმზიდველი, მშვიდი და სასიამოვნო სამყარო.

მაკა ბლიაძემ კი ჩვენთვის უკვე შექმნა „დილა მშვიდობისა“, „ერთი დღით მეტია, რაც მიყვარხარ“, „ფიფქიანი ლექსები“, „მეფის ასული ფერების ქვეყნიდან“, „დღეის ფიქრადა მოსულხარ“, „ცის იქით კიდევ ცა არის“, „მგზავრი ვარ“, „ვიმღეროთ ერთად“, „მზე მშვიდობისა წელო ახალო“, „მეც გილოცავ ახალ წელს“, ლექსები საქართველოს ბილიკებზე და „ფიროსმანის ერთი ვარდი “.

მოამზადა
**იზა იანვარაშვილმა**

# განცხადება



**დაავადებათა კონტროლის და ეროვნული სკრინინგ-ცენტრი მკერდის კიბოს სკრინინგის პოპულარიზაციის ფარგლებში, ბორჯომში მამოგრაფიულ უფასო გამოკვლევას ჩაატარებს.**

**ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი „ჰერასა““ და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, 27 სექტემბერს, ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ სამედიცინო ცენტრის ეზოში, ქალებისათვის უფასო სკრინინგი ჩატარდება.**

**ჩატარდება შემდეგი კვლევები:**

- **40-დან 70 წლის ჩათვლით - ძუძუს გამოკვლევა.**
- **აქცია დაიწყება დილის 10:00 საათზე და გაგრძელდება 17:00 საათამდე. მოქალაქემ თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა.**

# ნაზი ბურჯანაძის გამოსათხოვარი



**ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 79 წლის ასაკში გარდაიცვალა რკინიგზის №6 საჯარო სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი ქალბატონი ნაზი ბურჯანაძე.**

**ღრმად ერუდირებული, განათლებული, კეთილსინდისიერი აღმზრდელ-პედაგოგი და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. ნახევარი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ემსახურა მომავალი თაობის აღზრდას. მუდამ მოსწავლეებზე მზრუნველი და ამაგდარი, სკოლის სული და გული გახლდათ. საიმედო და უღალატო მეგობარი, სიკეთეზე მოფიქრალი, მოსწავლეებზე და კოლეგებზე ღირსეული მეოხი, მათი მწუხარებისა და ლხინის გულწრფელი გამზიარებელი.**

**მის მიერ ჩატარებული შემეცნებითი თუ ღია გაკვეთილები, ინიციატივები და ინოვაციური მიდგომები აღსაზრდელების სულის მალამო და სკოლის წარმოჩენის დიდი ასპარეზი გახლდათ.**

**ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მუდამ გამოირჩეოდა საგნისადმი უსაზღვრო სიყვარულით. თავდადება, გონიერება, განსწავლულობა, ყველაფერი ის, რაც მისთვის უხვად ქონდა მომადლებული არსთა გამრიგესაგან უშურველად გადასცა თავის შვილებს და მოსწავლეებს. მისი მჭერმეტყველობა და მოქარგული სიტყვა ალამაზებდა სასკოლო და სკოლის სახელით ჩატარებულ რაიონულ ღონისძიებებს.**

**წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი პედაგოგი ქალბატონი ნაზი, ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება მისი ოჯახის, პედაგოგიურ კოლექტივსა და აღზრდილების გულებში.**

**ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს მის სპეტაკ სულს.**

**დაკრძალვა შაბათს, 28 სექტემბერს, ალმაშენებლის ქუჩა №5.**

**ოჯახი.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა
ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი